გაეროს უშიშროების საბჭოს **<u>რეზოლუცია 849 (1993)</u>**

1993 წლის 9 ივლისი

უშიშროების საბჭომ,

განიხილა რა გენერალური მდივნის 1993 წლის 1 ივლისის მოხსენება (S/2603 და ადდ.2),

ეყრდნობა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1992 წლის 10 სექტემბრის, 1992 წლის 8 ოქტომბრის და 1993 წლის 29 იანვრის განცხადებებს აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, მდგომარეობის მიმართ (S/24542, S/34637, S/25198),

ეყრდნობა 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმებას (S/24523),

იწონებს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისათვის გენერალური მდივნის 1993 წლის 5 მაისის წერილში (S/25756) გადმოცემულ მიდგომას,

შეშფოთებით აღნიშნავს ახლახანს სოხუმის ირგვლივ საბრძოლო მოქმედებების გააქტიურებას და ადასტურებს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1993 წლის 2 ივლისის განცხადებას (S/26032), რომელშიც, კერძოდ, ყველა მხარეს მოუწოდებს დაიცვან 1993 წლის 14 მარტის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ხაზს უსვამს რა იმ მნიშვნელობის, რომელსაც იგი ანიჭებს სამხედრო მეთვალყურეთა განლაგების კონტექსტში ცეცხლის შეწყვეტის და სამშვიდობო პროცესის არსებობას და განხორციელებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტიანი მონაწილეობით,

1. კმაყოფილებით იღებს ცნობად იმ შენიშვნებს, რომელთაც შეიცავს გენერალური მდივნის მოხსენება;

2. სთხოვს გენერალურ მდივანს რეგიონში მიავლინოს თავისი სპეციალური წარმომადგენელი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების განხორციელების მიღწევაში დასახმარებლად და დაუყონებლივ შეუდგეს აუცილებელ მოსამზადებელ ღონისძიებათა განხორციელებას, მათ შორის, კონტაქტების დამყარებას იმ წევრ-სახელმწიფოებთან, რომელთაც შეუძლიათ მეთვალყურეთა წარდგენა და და რაიონში დაგეგმვის ჯგუფის გაგზავნა, რაც დაკავშირებულია საქართველოში 50 სამხედრო მეთვალყურის წარგზავნასთან, როგორც კი განხორციელდება ცეცხლის შეწყვეტა;

3. სთხოვს შემდეგ გენერალურ მდივანს აცნობოს საბჭოს _ მის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად _ იმის შესახებ, თუ როდის განხორციელდა ცეცხლის შეწყვეტა, და, მისი აზრით, როდის შეიქმნება პირობები დამკვირვებელთა განლაგებისათვის, ამ ეტაპზე მათ მანდატთან დაკავშირებული რეკომენდაციების მისაღებად და აცხადებს მზადყოფნას ოპერატიულად მიიღოს ზომები ასეთი უწყების მიღებისთანავე;

4. მიესალმება ამ კონტექსტში გენერალური მდივნის ძალისხმევას, რათა დაიწყოს სამშვიდობო პროცესი კონფლიქტის მონაწილე მხარეებისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის, როგორც ხელშემწყობი მხარის, მონაწილეობით;

5. მხარს უჭერს გენერალური მდივნის თანამშრომლობას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოქმედ თავმჯდომარესთან რეგიონში მშვიდობის დამყარების საქმეში;

6. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გაეროსთან ერთად დაუყონებლივ შეუდგეს ძალთა სტატუსის შესახებ შეთანხმების განხილვას, რათა ხელი შეუწყოს დამკვირვებელთა უსწრაფეს განლაგებას მას შემდეგ, რაც საბჭო მიიღების გადაწყვეტილებას ამის შესახებ;

8. იღებს გადაწყვეტილებას კვლავ აქტიურად იმუშაოს ამ საკითხზე.

(www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)